ტესტი დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთათვის

ბუნებისმეტყველება

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ტესტი ორი ნაწილისგან შედგება - საგნობრივი ცოდნა და აკადემიური უნარები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 53 .

ყურადღებით გაეცანით ტესტის თითოეული დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. ტესტზე მუშაობისას გამოიყენეთ თანდართული რუკები.

გაითვალისწინეთ:

- თუ სწორ პასუხთან ერთად არასწორ პასუხსაც მიუთითებთ, ქულას ვერ მოიპოვებთ.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 4 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

საგნობრივი ცოდნა

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **1.** ჩამოთვლილთაგან რომელია ხელოვნური ეკოსისტემა?

ა) ნაკრძალი;

ბ) ტყე;

გ) ბოტანიკური ბაღი;

დ) ჭაობი.

(1) **2.** მცენარის რომელ ნაწილს შეუძლია ყველაზე დიდხანს მოსვენებულ მდგომარეობაში ყოფნა?

I – სპორას II – თესლს III – გორგალს

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) მხოლოდ III;

დ) I და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **3.** ილუსტრაციაზე მოცემულია იდაყვის სახსრის მოქმედებაში მომყვანი ორთავა (1) და სამთავა (2) კუნთი. რა მდგომარეობაშია კუნთები იდაყვის მოხრის დროს?



	1	2
ა)	შეკუმშულია	მოდუნებულია
ბ)	მოდუნებულია	შეკუმშულია
გ)	შეკუმშულია	შეკუმშულია
დ)	მოდუნებულია	მოდუნებულია

(1) **4.** ილუსტრაციაზე გამოსახულია ორ ქოთანში ჩარგული მცენარეები. პირველი ქოთნის მცენარეებს ზრდა-განვითარებისთვის ნორმალურ პირობები შეუქმნეს, მეორეს კი – არა. განსაზღვრეთ, რა დააკლდა მეორე ქოთნის მცენარეებს განვითარებისათვის.

I – სითბო II – სინათლე III – წყალი

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) I და II;

დ) II და III.

(1) **5.** რომელი ძვალი **<u>არ შედის</u>** გულმკერდის შემადგენლობაში?

ა) მალა;

ბ) ნეკნი;

გ) ბეჭის ძვალი;

დ) მკერდის ძვალი.

(1) **6.** ზოგიერთი მცენარის ფოთლები ცვილის თხელი ფენითაა დაფარული, რაც მცენარეს იცავს:

I – პათოგენური მიკროორგანიზმებისგან

II – მავნე ნივთიერებების შეჭრისგან

III – წყლის დაკარგვისგან

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ I და III;

გ) მხოლოდ II და III;

დ) I, II და III.

(1) **7.** ტყეში ბალახოვანი მცენარეებისათვის შემზღუდველი ეკოლოგიური ფაქტორი მეტწილად არის:

ა) სინათლის ინტენსივობა;

ბ) ნიადაგის შედგენილობა;

გ) ტემპერატურა;

დ) წყალი.

(1) **8.** მხოლოდ ძუძუმწოვრებს აქვთ:

I – დიფერენცირებული კბილები

II – ოთხსაკნიანი გული

III – კარგად განვითარებული თავის ტვინი

ა) მხოლოდ I;

ბ) მხოლოდ II;

გ) I და II;

დ) I და III.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **9.** ილუსტრაციაზე გამოსახული სახეცვლილი ღეროებით ხდება:



I – ვეგეტატიური გამრავლება

II – არახელსაყრელი პერიოდის გადატანა

III – სამარაგო ნივთიერებების დაგროვება

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ I და III;

დ) I, II და III.

(1) **10.** რა ფუნქციას ასრულებს ადამიანის ჩონჩხი?

I – ქმნის საყრდენს

II – განსაზღვრავს სხეულის ფორმას

III – უზრუნველყოფს სხეულის გადაადგილებას

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ I და III;

დ) I, II და III.

(1) **11.** რომელი ორგანოებით ითვისებს მცენარე ფოტოსინთეზისთვის საჭირო სამ მთავარ რესურსს: წყალს (I), სინათლეს (II) და ნახშირორჟანგს (III) ?

	I	II	III
ა)	ფესვი	ღერო	ფოთოლი
ბ)	ფესვი	ფოთოლი	ფოთოლი
გ)	ღერო	ფოთოლი	ღერო
დ)	ღერო	ღერო	ფესვი

(1) **12.** რომელი მცენარეები ვითარდებიან სპორიდან?

I – ფიჭვი II – გვიმრა III – ხავსი

ა) მხოლოდ I და II;

ბ) მხოლოდ II და III;

გ) მხოლოდ I და III;

დ) I, II და III.

(1) **13.** ილუსტრაციაზე ცხოველები აღნიშნულია ლათინური ასოებით. განსაზღვრეთ, რომელი ასოთი აღნიშნულ ცხოველებს შორის მყარდება ბიოტური კავშირი ნეიტრალიზმი და რომლებს შორის - კონკურენცია.



	ნეიტრალიზმი	კონკურენცია
ა)	A და C	A და B
ბ)	B და C	A და C
გ)	A და E	B და D
დ)	C და D	E და D

(1) **14.** ძუძუმწოვრებისა და ფრინველების საერთო ნიშანია:

I – თბილსისხლიანობა

II – ცოცხალმშობიარობა

III – შთამომავლობაზე ზრუნვა

ა) I და III;

ბ) მხოლოდ I;

გ) მხოლოდ II;

დ) მხოლოდ III.

(1) **15**. როგორი ყვავილები აქვთ მწერებით დამმტვერავ მცენარეებს?

I – დიდი და კაშკაშა ფერის

II – სურნელოვანი, ნექტრის გამომყოფი

III – უსუნო და მომწვანო ფერის

ა) I და II;

ბ) მხოლოდ I;

გ) მხოლოდ II;

დ) მხოლოდ III.

(1) **16.** ჩამოთვლილი ცხოველებიდან რომელია ნაირმჭამელი ძუძუმწოვარი?

1. დათვი 2. მგელი 3. თხუნელა 4. კურდღელი

ა) 1 და 2;

ბ) 1 და 3;

გ) 2 და 3;

დ) 3 და 4.

(1) **17.** რომელი ციფრებით აღნიშნული მრუდები შეესაბამება ფოტოსინთეზის პროცესში ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის კონცენტრაციათა ცვლილებას ფოთოლში?



ა) 1 და 3;

ბ) 1 და 4;

გ) 2 და 3;

დ) 2 და 4.

(1) **18.** მწერები სუნთქავენ:

ა) ფილტვებით;

ბ) ლაყუჩებით;

გ) ტრაქეებით;

დ) კანით.

(1) **19.** რომელი ადაპტაცია ჩამოუყალიბდა ვეშაპს ცივ გარემოში არსებობის გამო?

ა) სქელი და ხშირი ბალანი;

ბ) კანქვეშა ცხიმის სქელი ფენა;

გ) მოგრძო სხეული;

დ) სწრაფი ცურვის უნარი.

(1) **20.** გაზომეს ოთხი სხვადასხვა სხეულის მოცულობები და სიმკვრივეები. გაზომვის შედეგები მოცემულია დიაგრამაზე წერტილების სახით. რომელი სხეულის მასაა ყველაზე მცირე?



ა) 1-ის;

ბ) 2-ის;

გ) 3-ის;

დ) 4-ის.

(1) **21.** ნახატზე გამოსახულია წყლიანი ჭიქა ყინულის ნატეხებით, რომელიც შემოდგეს ოთახის ფანჯრის რაფაზე. ჭიქის კედელზე გარედან გაჩნდა წყლის წვეთები. რომელი პროცესია ამის მიზეზი?



ა) დნობა;

ბ) აორთქლება;

გ) კონდენსაცია;

დ) წყლის დინება ჭიქის ზედაპირზე გაჩენილ აფსკში.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **22.** სკოლისაკენ მიმავალ მოსწავლეს გზაში გაახსენდა, რომ სახლში დარჩა რვეული. ის შინ დაბრუნდა და შემდეგ ისევ წავიდა სკოლისაკენ. ქვემოთ მოყვანილთაგან რომელი გრაფიკი შეიძლება გამოსახავდეს მოსწავლის x დაშორებას სახლიდან, როგორც t დროის ფუნქციას სკოლაში მისვლის მომენტამდე?



I



II

ა) არც ერთი;

ბ) ორივე;

გ) მხოლოდ I;

დ) მხოლოდ II.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **23.** ჩამოთვლილთაგან რომელ გალაქტიკაში შედის დედამიწა?

I. ირმის ნახტომი; II. ანდრომედას ნისლეული; III. სომბრეროს გალაქტიკა.

ა) I-ში;

ბ) II-ში;

გ) III-ში;

დ) ჩამოთვლილთაგან არცერთში.

(1) **24.** ფიზიკური მოვლენების დროს ნივთიერება უცვლელი რჩება, ქიმიურის დროს კი იცვლება და სხვა ნივთიერება წარმოიქმნება.

რას წარმოადგენს ამ თვალსაზრისით ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენები?

I – სპირტის წვა;

II – სპირტის აორთქლება.

ა) I – ფიზიკურია, II – ქიმიური;

ბ) I – ქიმიურია, II – ფიზიკური;

გ) ორივე ფიზიკურია;

დ) ორივე ქიმიურია.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **25.** სინჯარები, რომლებშიც ოთახის ტემპერატურაზე მოთავსებული იყო A, B და C სითხეები, ჩაუშვეს ყინულიან წყალში. რომელი ნივთიერება გამყარდება ამ დროს?

ინფორმაცია ამ ნივთიერებების ლღობის ტემპერატურათა შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ნივთიერება	ლღობის ტემპერატურა, °C
A	$+5$
B	-5
C	-25

ა) მხოლოდ A;

ბ) მხოლოდ A და B;

გ) მხოლოდ B და C;

დ) სამივე.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **26.** რა პროცესია დისტილაცია?

ა) ხსნადი და უხსნადი ნივთიერებების განცალკევება გაფილტვრის საშუალებით;

ბ) ერთმანეთში შეურევადი სითხეების დაყოფა დაწდომის საშუალებით;

გ) თხევადი ნივთიერებების ნარევის დაყოფა გამოხდის საშუალებით;

დ) მყარი და თხევადი ნივთიერებების დაცილება დაწდომის საშუალებით.

(1) **27.** რომელი ოკეანის რუკის ფრაგმენტია მოცემული დავალებაში?



ა) წყნარი

ბ) ინდოეთის

გ) ატლანტის

დ) სამხრეთის

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **28.** რომელ ფოტოზეა ნაჩვენები სინოპტიკოსი?

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **29.** რუკის ფრაგმენტის მიხედვით გამოთვალეთ, ზღვის დონიდან რამდენ მეტრზე მდებარეობს A წერტილი?



ა) 151
ბ) 153
გ) 154
დ) 156

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **30.** რუკის ფრაგმენტის მიხედვით რომელია მართებული მსჯელობა?



მასშტაბი 1:10 000

ა) ნაკვეთი 1 და 2 მდებარეობს მდინარის მარჯვენა სანაპიროზე;
ბ) ჭიდან ტყე მდებარეობს ჩრდილოეთით;
გ) მდინარე ცივის მარცხენა ნაპირს ხრამი მიუყვება;
დ) რუკაზე დატანილია შერეული ტყის კორომი.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **31.** რუკაზე მოცემულია ოთხი სხვადასხვა ხომალდის ადგილმდებარეობა. რომელ მათგანს შეუძლია იმოძრაოს მარშრუტით, რომლითაც შესაძლებელი იქნება უფრო მოკლე გზით შავ ზღვაში შესვლა?



ა) 1
ბ) 2
გ) 3
დ) 4

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **32.** რუკაზე დატანილი ლოკაციებიდან სად ბინადრობს ფოტოზე მოცემული ცხოველი?

ა) 1
ბ) 2
გ) 3
დ) 4



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **33.** რუკაზე აღნიშნული ლოკაციებიდან სად არის ძლიერი მიწისძვრის წარმოქმნის უფრო ნაკლები ალბათობა?



ა) 1
ბ) 2
გ) 3
დ) 4

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **34.** რომელ ნახატზეა ნაჩვენები შუადღის ჩრდილი?



1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **35.** რომელი ლათინური ასოთია აღნიშნული სქემაზე ლითოსფერო?



ა) A
ბ) B
გ) C
დ) D

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **36.** დავალებაში მოცემულია მზის სისტემის დედამიწის ჯგუფის პლანეტების აფელიუმები (პლანეტის ორბიტაზე მზიდან მაქსიმალურად დაშორებული წერტილი). რომელია პლანეტა ვენერას აფელიუმი?

ა) 69,82 მლნ.კმ.

ბ) 108,94 მლნ.კმ.

გ) 159,1 მლნ.კმ.

დ) 249,26 მლნ.კმ.

(1) **37.** რომელ ფოტოზეა ნაჩვენები ანთროპოგენური ლანდშაფტი?



(1) **38.** დავალებაში მოცემული სქემის მიხედვით რომელია მართებული მსჯელობა?



ა) სამხრეთ პოლუსზე პოლარული დღეა;

ბ) ჩრდილოეთ პოლუსზე პოლარული ღამეა;

გ) დედამიწაზე დღის და ღამის ხანგრძლივობა ყველგან თანაბარია;

დ) ჩრდილოეთ ტროპიკზე დღის ხანგრძლივობა აღემატება ღამის ხანგრძლივობას.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **39.** სად დასჭირდება კვერცხის ხარშვას უფრო მეტი დრო?



ა) მ. მყინვარწვერზე

ბ) მ. ჯომოლუნგმაზე

გ) მ. დენალიზე

დ) მ. კოსციუშკოზე

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

აკადემიური უნარები

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

წაკითხულის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

ამა თუ იმ შეკითხვის გაცნობის შემდეგ მასზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია დაგჭირდეთ ტექსტთან დაბრუნება, შესაბამისი მონაკვეთის ხელახლა წაკითხვა და კვლავ შეკითხვაზე გადასვლა. ამას გაგიადვილებთ როგორც ტექსტის, ასევე, თითოეული შეკითხვის ბოლოს მოცემულ სათანადო აღნიშვნებზე „დაწკაპუნება“.

I უთანასწორობა განათლებაში გულისხმობს იმ განსხვავებებს, რომლებიც არსებობს სხვადასხვა ჯგუფს შორის საგანმანათლებლო შესაძლებლობების, რესურსებისა და, შესაბამისად, შედეგების მხრივ. უთანასწორობა შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა მიმართულებით, რაც დამოკიდებულია ეკონომიკურ, სოციალურ, გენდერულ, ეთნიკურ თუ სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, დაბალშემოსავლიანი ოჯახების ბავშვებს ხშირად ნაკლები შესაძლებლობები აქვთ განათლებისთვის, როგორებიცაა: კარგი სკოლების, მასწავლებლების, ტექნოლოგიებისა და დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ამის გამო მათ შეიძლება გაუჭირდეთ წარმატების მიღწევა. ასევე, ზოგიერთ კულტურაში გოგონებს განათლების მიღების შეზღუდული შესაძლებლობები აქვთ, რასაც განაპირობებს კონსერვატიული მოლოდინები და სტერეოტიპული რწმენა ქალის როლთან დაკავშირებით საზოგადოებაში.

II განათლების უთანასწორობა უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანური კაპიტალის ინდექსთან. ეს უკანასკნელი არის მაჩვენებელი, რომელიც ასახავს ქვეყნის მოსახლეობის განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის ხარისხის შეფასებას. თუ ქვეყნის მოსახლეობა ხარისხიან განათლებასა და ჯანმრთელობის სერვისს იღებს, მისი ,,ადამიანური კაპიტალი“ მაღალია, რაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის მოქალაქეებს შესაძლებლობების რეალიზაციისთვის კარგი პირობები აქვთ, ეს კი, შესაბამისად, ქვეყნის ეკონომიკის სიძლიერეს განაპირობებს.

III არსებობს რწმენა, რომ თუ საკმარისად იშრომებ, აუცილებლად მიაღწევ ყველა მიზანს. მიღწევა არის უნარების, მოტივაციისა და შრომის შედეგი და, შესაბამისად, სოციალური წარმომავლობისაგან დამოუკიდებელი. თუმცა, ბავშვები დაბალი სოციოეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებიდან ხშირად უთანასწორო პირობების გამო ვერ ავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს. დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები ბავშვების განათლებაში ხშირად ვერ დებენ მაღალ ინვესტიციას, რაც განაპირობებს დაბალი ხარისხის განათლებას და, შესაბამისად, ამ მოსწავლეების მცირე შესაძლებლობებს სამუშაო ბაზარზე. ეს ქმნის უთანასწორობას, რომელიც ჩაკეტილ წრედ აქცევს სოციოეკონომიკურად დასუსტებულ ჯგუფებს, რადგან მათ უფრო ნაკლები შანსი აქვთ, განათლების მაღალი დონე ჰქონდეთ.

შეკითხვებზე გადასვლა: 40 41 42 43 44

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

IV განათლების უთანასწორობის საკითხით დაინტერესებულმა ფრანგმა მკვლევარმა სებასტიენ გუდომ განსხვავებულ ასპექტზე გაამახვილა ყურადღება. მისი კვლევის შედეგების მიხედვით, უთანასწორობა ადრეული ასაკიდან იწყება. სოციალური კლასი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რა წვლილი შეაქვს ბავშვს გაკვეთილის მსვლელობის დროს, ასევე, იმაზეც, თუ როგორ აფასებენ ბავშვები საკუთარ თავს და სხვებს. აღმოჩნდა, რომ ბავშვები დაბალი სოციალური კლასის ოჯახებიდან ნაკლებად არიან ჩართულები ჯგუფურ დისკუსიებში, ვიდრე მათი თანატოლები, რომლებიც შედარებით მაღალი სოციალური კლასიდან არიან. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოცემულობა არ აიხსნება ბავშვებს შორის ენობრივი კომპეტენციის ან თვითგამოხატვის უნარის დეფიციტით. ის ნორმები, რომლებიც დაბალი სოციალური კლასის ოჯახებისთვის ჩვეულია, ეწინააღმდეგება იმ ნორმებს, რომლებიც სკოლაშია გავრცელებული. მათი თვითგამოხატვის ფორმები და კულტურული გამოცდილებები ნაკლებად არის დაფასებული საკლასო ოთახში. ბავშვები ადარებენ საკუთარ თავს სხვებს, აღმოაჩენენ განსხვავებებს, სახლსა და სკოლას შორის კულტურულ შეუსაბამობებს, მათ მიმართ უარყოფით მოლოდინებს, რაც აძლიერებს სხვების მხრიდან განსჯის შიშს და, შესაბამისად, თავს არიდებენ თვითგამოხატვას.

V უთანასწორო სასწავლო გარემო, რომელიც განათლების ადრეულ ეტაპზე იქმნება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია მიღწევათა სხვაობებისთვის მთელი საგანმანათლებლო პროცესის განმავლობაში.

შეკითხვებზე გადასვლა: 40 41 42 43 44

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **40.** განათლებაში უთანასწორობის რომელი ორი მიზეზის ილუსტრაციაა პირველ აბზაცში მოცემული მაგალითები?

ა) ეკონომიკურისა და ეთნიკურის;

ბ) ეთნიკურისა და გენდერულის;

გ) ეკონომიკურისა და გენდერულის;

დ) სოციალურისა და ეთნიკურის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **41.** ჩამოთვლილთაგან რომელშია მართებულად წარმოდგენილი კავშირი განათლების უთანასწორობასა და ადამიანური კაპიტალის ინდექსს შორის?

ა) მაღალშემოსავლიან ქვეყნებს ერთმნიშვნელოვნად ხელმისაწვდომი განათლება და ადამიანური კაპიტალის მაღალი ინდექსი აქვთ;

ბ) თუკი ქვეყანას ადამიანური კაპიტალის მაღალი ინდექსი აქვს, ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს ამ ქვეყანაში ადამიანი, რომელმაც დაბალი ხარისხის განათლება მიიღო;

გ) ადამიანების დაბალი ხარისხის განათლებას სიღარიბე განაპირობებს, თუმცა შესაძლებელია ამ მიზეზის კომპენსაცია ხარისხიანი ჯანდაცვით, შესაბამისად, ადამიანური კაპიტალი არ დაზარალდება;

დ) თუკი ადამიანებს განსხვავებული პირობები აქვთ განათლების მიღებისას, მათი შესაძლებლობები ნაკლებად განვითარდება და, შესაბამისად, ქვეყანაში ადამიანური კაპიტალი დაზარალდება.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **42.** ტექსტის მესამე აბზაცში ვკითხულობთ: ,,მიღწევა არის უნარების, მოტივაციის და შრომის შედეგი.“ ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>აყენებს ეჭვქვეშ</u>** ამ მოსაზრებას?

ა) მოსწავლეები, რომლებიც სისტემატურად აცდენენ სკოლას, ვერ აღწევენ აკადემიურ წარმატებას;

ბ) მოსწავლეთა უმეტესობას, რომელთა მშობლიური ენა არ ემთხვევა სკოლის სწავლების ენას, არ აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება;

გ) მოსწავლეები, რომლებსაც არ აქვთ დავალებების სისტემატურად შესრულების ჩვევა ჩამოყალიბებული, ვერ აღწევენ აკადემიურ წარმატებას;

დ) მოსწავლეთა უმეტესობა, რომელთაც არ აქვთ მოთმინების უნარი სათანადოდ განვითარებული, ვერ აღწევს აკადემიურ წარმატებას.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **43.** ტექსტის მეოთხე აბზაცში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. ჩამოთვლილთაგან რომელია ამ შედეგებზე დაყრდნობით გამოტანილი მართებული დასკვნა?

ა) სასწავლო გარემოში საკუთარი განსხვავებულობის აღქმა და მხარდაჭერის ნაკლებობა უარყოფითად აისახება ბავშვების თვითშეფასებაზე, რაც ბარიერს წარმოადგენს მათი შესაძლებლობების რეალიზებისთვის;

ბ) ენობრივი კომპეტენციისა და თვითგამოხატვის უნარის მიხედვით ბავშვებს შორის არსებული განსხვავებები განაპირობებს სასწავლო აქტივობებში მათი ჩართულობის ხარისხს, რაც, შესაბამისად, ბარიერს ქმნის განათლების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით;

გ) სოციალური კლასის მიხედვით ბავშვებს შორის განსხვავებები მათი კულტურული გამოცდილების ნაირგვარობით აიხსნება, რაც უთანასწორო სასწავლო გარემოს ქმნის;

დ) სასწავლო გარემოსთან ბავშვების ადაპტაციისთვის მათი თვითშეფასება ბარიერი ვერ იქნება, სკოლაში უთანასწორო საგანმანათლებლო გარემოს ყველა ბავშვისთვის დადგენილი ერთნაირი ნორმები ქმნის.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)
[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(1) **44.** ჩამოთვლილთაგან რომელი **<u>არ არის</u>** მოცემული ტექსტის მიზანი?

ა) გაგვაცნოს განათლების უთანასწორობის გამომწვევი სხვადასხვა მიზეზი;

ბ) გამოკვეთოს განათლებაში უთანასწორობასა და ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს შორის კავშირის მნიშვნელობა;

გ) ახსნას, თუ როგორ, რა გზით ახდენს გავლენას ესა თუ ის ფაქტორი განათლების უთანასწორობაზე;

დ) თანამედროვე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დასახოს განათლების უთანასწორობის აღმოფხვრის გზები.

[დაბრუნება ტექსტის I გვერდზე](#)

[დაბრუნება ტექსტის II გვერდზე](#)

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 23 24 25 26
27 28 29 30 31 32 33 34 35 36 37 38 39 40 41 42 43 44 45

(9) **45. ანალიტიკური წერა**

ყურადღებით გაეცანით დავალებაში მოცემულ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებას. გააკეთეთ არჩევანი ერთ-ერთის სასარგებლოდ. მოიყვანეთ არგუმენტები თქვენი არჩევანის დასასაბუთებლად და კრიტიკულად შეაფასეთ საკითხის გადაჭრის მეორე შესაძლო გზა.

ა) ბავშვს სკოლაში მეტი თავისუფლება და ავტონომია უნდა მივცეთ, რათა განვითარდეს დამოუკიდებელ და მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებად.

ბ) სკოლაში ბავშვის თავისუფლების ხარისხი მკაცრად უნდა გაკონტროლდეს, რადგან იგი სრულად ვერ იაზრებს საკუთარი მოქმედებების შედეგებს და ამით ვნებს საკუთარ თავსაც და სხვასაც.

თხზულება უნდა შეიცავდეს, სულ მცირე, 120 სიტყვას.